შპს "ოპტიმუსი"

ქ.თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქ.№86-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.72.14.038.712)
საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორექტირებული პროექტის)
ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის

საექსპერტო შეფასება

ქ.თბილისი

2019 წ.

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
"ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა"

სამშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

ქ.თბილისი 14 აგვისტო 2019 წ.

ქ.თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქ.№86-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.72.14.038.712) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორექტირებული პროექტის) ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის

საექსპერტო შეფასება

ექსპერტიზის სახე –საინჟინრო ექსპერტიზა;

დამნიშნავი ორგანიზაცია – შპს "კ3 დეველოპმენტი", საიდენტიფიკაციო კოდი 439035927;

დირექტორი – ბექა ქავთარაძე;

ობიექტის მისამართი – ქ.თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქ.№86 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.72.14.038.712)

შემსრულებელი – გაიოზ ჭანკვეტაძე შპს "ოპტიმუსი"-ს (ს/კ 404420998) დირექტორი, ინჟინერ-კონსტრუქტორი, საინჟინრო ექსპერტიზის სფეროში მუშაობის 9 წელი (2010 წლიდან). სამშენებლო სფეროში მუშაობის 34 წელი (1985 წლიდან); (პ/ნ 01017024251);

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები – ქ.თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქ.№86-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.72.14.038.712) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორექტირებული პროექტის) ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილის შეფასება და შესაბამისი დასკვნის მომზადება.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია – შპს "ფლექს არქიტექტურა"-ს მიერ მომზადებული დოკუმენტაცია – შენობის (კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, შენობის კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი, შენობის კარკასის სანგარიშო მოდელი, მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, აღნიშნული კვლევის საექსპერტო შეფასება, მიწის ნაკვეთის ტოპო-გეგმა.

საპროექტო ორგანიზაცია – შპს "ფლექს არქიტექტურა" ს/კოდი 404920216;

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +995 595 90 22 25;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 90 22 25; email: g.chankvetadze@optimusi.ge

დირექტორი – ირ.მაზიაშვილი;

პროექტის კონსტრუქტორი – ლ.ჯაიანი;

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:

1) სნ და წ. პნ 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"

2) სნ და წ. პნ 01.01-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები"

გამოკვლევა – საინჟინრო ექსპერტზაზე წარმოდგენილია შპს "ფლექს არქიტექტურა"-ს მიერ მომზადებული დოკუმენტაცია – შენობის პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი, შენობის პროექტის კორექტირებული არქიტექტურული ნაწილი, შენობის კარკასის საანგარიშო მოდელი, მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, აღნიშნული კვლევის საექსპერტო შეფასება, მიწის ნაკვეთის ტოპო-გეგმა.

საპროექტო გადაწყვეტით თავდაპირველი შენობა ცხრასართულიანია მიწისქვეშა ავტოფარეხის სართულით, ის გეგმაში მართკუთხა ფორმის მოზაზულობისა გაბარიტული ზომებით 22.70X15.50მ. პროექტის კორექტირება ითვალისწინებს შენობაზე ორი სრული სართულის დაშენებას.

ამ დროისთვის აშენებულია რვა სართული.

შენობა კონსტრუქციულად ჩარჩოვან-კავშირიანი ტიპისაა და შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონის სივრცითი კარკასით. მასზე ორი სართულის დაშენება გადაწყვეტილი იყო სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გამომდინარე აქედან, მისი საძირკველი და მზიდი კარკასი დაპროექტდა შესაბამისად მომატებული მზიდუნარიანობის რესურსით მოსალოდნელ დატვირთვებზე გათვალისწინებით.

მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით საძირკველი გადაწყვეტილი რკ/ბეტონის მონოლითური ფილის (h=1.00მ.) სახით.

სამშენებლო მოედნის გეოლოგიური აგებულების მოცემულობითა და შენობის საძირკვლის ჩაღრმავების მიხედვით საძირკვლის დაფუძნება ხდება №3 ფენაზე – მოყვითალო-ყავისფერი თიხნარი ძნელპასტიკური კონსისტენციის (საანგარიშო წინაღობვით R_0=2.50 კგ.ძ/სმ^2), გამომდინარე მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნიდან, უშუალოდ საძირკვლის ქვეშ სამშენებლო თვისებების მხრივ ერთგვაროვანი ფენის შექმნის მიზნით, ფილის ფუძედ მიღებულია 1.00მ სისქის მდინარეული ბალასტით შექმნილი ხელოვნური ფუძე – 0,20 მ-ის შრეობრივი დატკეპვნით.

შენობის სართულშუა გადახურვები გადაწყვეტილია მონოლითური რკ/ბეტონის გადახურვის ნიბოვანი ფილებით (h=0.17მ.). ვერტიკალურ მზიდ ელემენტებად გამოყენებულია მართკუთხა

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +995 595 90 22 25;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 90 22 25; email: g.chankvetadze@optimusi.ge

განივკვეთის რკ/ბეტონის პილონები და დიაფრაგმები. შენობის სახურავი წარმოადგენს მონოლითურ რკ/ბეტონის ფილაზე მოწყობილ ე.წ. "ბრტყელ გადახურვას", კედლების შემავსებელია წვრილი სამშენებლო ბეტონის ბლოკი და ვიტრაჟები.

საპროექტო ტერიტორია განისაზღვრება შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის დატვირთვა – 50 კგ.ძ/მ^2

თოვლის საფარის წონა – 85 კგ.ძ/მ^2

წარმოდგენილი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის თანახმად სამშენებლო უბნის ამგებ გრუნტებში საშიში გეოლოგიური პროცესები არ შეიმჩნევა და მიწის გრუნტი იმყოფება დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. გეოლოგიურ ჭრილში გამყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ნაყარი გრუნტის ფენა, 2. თიხნარი ქვიშის ლინზებით ნახევრად მყარი, 3. თიხნარი მოყვითალო-ყავისფერი ძნელპასტიკური კონსისტენციის ($\varphi=20^0$; C=0,23კგძ/სმ^2 E=170 კგ/სმ^2)
საერთო მიკროდარაიონებისა (პნ 01.01.-09) და ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით სამშენებლო მოედნის სეისმურობად მიღებულია 8 ბალი (M SK64 სკალა).

შენობის მზიდი კონსტრუქციების სივრცითი მოდელის საანგარიშო სქემა შედგენილია პროგრამული კომპლექს "лира"-ს მეშვეობით. სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. სივრცით ანგარიშებში მოცემულია რკინაბეტონის ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცითი სისტემა, რომლის გადაადგილება სივრცეში შეზღუდულია საძირკვლის ფილის ძირის დონეზე არსებული X,Y ,Z მიმართულების ბმებით.

საერთო ჯამში შენობის სივრცითი კარკასი გაანგარიშებულია შემდეგი სახის დატვირთვებზე:

№1 სტატიკური დატვირთვა, მუდმივი მოქმედების; №2 სტატიკური დატვირთვა დროებითი, ხანმოკლე მოქმედების; №3 სეისმური დატვირთვები X,Y ,Z მიმართულებებით.

შენობის საანგარიშო მოდელის სტრუქტურული ანგარიში გადამოწმდა პროგრამულ კომპლექს "лира-сапр 2013(R3)x64"-ში, ზემოთმოცემული სტატიკური და დინამიკური დატვირთვების თანწყობილ ზემოქმედებაზე მოქმედი სეისმური ნორმის ("პნ 01.01-09") გათვალისწინებით.

მონოლითური რკინაბეტონის ელემენტების არმირება შემოწმდა სნ და წ. 2.03.01-84-ის მოთხოვნების გათვალისწინებით. ელემენტების არმირებაში გამოყენებულია I და III (სახსტანდარტი 5781-82*) კლასის არმატურა. ბეტონი – B25 კლასის.
სქემატურად საპროექტო ნახაზები შესრულებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე, როგორც კონსტრუქციული სქემები, ასევე მოცემული კვანძები და დეტალიზაცია, ელემენტების არმირება, ჩალუნვები, არმატურის ღეროების შეპირაპირება (გადადება), საკიდების

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +995 595 90 22 25;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 90 22 25; email: g.chankvetadze@optimusi.ge

განლაგებისა და ბოჯების, ასევე ბეტონის დამცავი შრის სისქეები აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიულ მოთხოვნებს.

დასკვნა - საინჟინრო ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შპს "ფლექს არქიტექტურა"-ს მიერ დამუშავებული ქობილისი, ვეფხისტყაოსნის ქ№86-ში (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.72.14.038.712) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციული ნაწილი პასუხობს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მის განხორციელებას დადებით შეფასებას ვაძლევ.

შპს "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი

გაიოზ ჭანკვეტაძე

საქართველო, ქობილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +995 595 90 22 25;
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 90 22 25; email: g.chankvetadze@optimusi.ge


GEO
GAIOZ
CHANKVETADZE
GEO
M
01017024251
07.12.1968
07.06.2026
151872448


TBILISI
07.06.2016
MINISTRY OF JUSTICE
IDGE015IB72448801017024251<<<<
6812078M2606071GE0<<<<<<<<<<<9
CHANKVETADZE<<GAIOZ<<<<<<<<<<

საქართველოს რესპუბლიკა

დიპლომი № 010494

მიეცა გაიოზ გოთიჩის ძე

ჭანკვეტაძეს

იმაში, რომ ის 19 86 წელს შევიდა საქართველოს

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1994 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის სრული კურსი

სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის 1994 წლის

6 ივლისის დადგენილებით

მ.გ. ჭანკვეტაძეს მიენიჭა ინჟინრის

მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1994 წ. 16. 09

სარეგისტრაციო № 1477

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი:	გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251);
დაბადების ადგილი/თარიღი:	ქ.თბილისი 07.12.1968 წ.
მისამართი:	ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1;
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული;
ტელ:	+995 595 90 22 25; +995 557 90 22 00;
E-mail	g.chankvetadze@gmail.com

განათლება

1974-1985 ქ.თბილისის 1-ლი საშ.სკოლა;

1986-1994 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ფაკულტეტი - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; კვალიფიკაცია-მშენებელი ინჟინერი;

1999-2003 უნივერსიტეტი -„ლეგია და კომპანია" იურიდიული ფაკუტეტი. კვალიფიკაცია - იურისტი;

სამუშაო გამოცდილება:

1985-1987 №5-ე სახლმშენებელი კომბინატი 4-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1987-1989 ყოფილი საბჭოთა კავშირის არმია, საინჟინრო ჯარები;

1989-1991 სამშენებლო ტრესტი „ინჟმშენი" 4-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1991-1994 მრავალდარგოვანი საწარმო „პემ"-ი სამშენებლო უბნის უფროსი;

1995-1999 შპს „დარბაზნი"კონსტრუქტორთა ჯგუფის უფროსი;

1999-2002 ქ.თბილისის მერიის ადმონისტრაციული ინსპექცია. მთავარი სპეციალისტი;

2003-2005 ქ.თბილისის მერიის ადმონისტრაციული ინსპექციის მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროსი.

2005-2008 კერძო ბიზნესი.

2006-2008 ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური. მთავარი სპეციალისტი;

2009 წლის იანვარი-მარტი - ქ.თბილისის, მერიის სამოქალაქო ინტეგრაციის (თბილისის კორპუსი) საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

2009 წლის მარტი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის, მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

2009 წლის მარტი - სექტემბერი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

2010 წლის მარტი - ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს სსიპ „თბილისი უპრავი ქონება" - დირექტორი;

2010-2011 შენობათა დიაგნოსტიკის ცენტრი შპს „კრუგი"-ს მენეჯერი - ექსპერტი;

2012წ დღემდე საპროექტო-სამშენებლო კომპანია შპს„ოპტიმუსი"-ს დამფუძნებელი, დირექტორი;

2010 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაკვეთებით შესწავლილი მაქვს 500 ერთეულზე მეტი ავარიული ან/და არეკონსტრუქციო 1-ლი, მე-2 , მე-3 და მე-4 კლასის შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. ამასთან თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩემი კომპანია შპს „ოპტიმუსი"-ს მიერ დაპროექტებულ 400-ზე მეტი 1-ლი, მე-2 და მე-3 კლასის შენობების არიქტეტურული პროექტებისთვის მომზადებული მაქვს კონსტრუქციული ნაწილი.

გაცემულია 150 ერთეულამდე დასკვნა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდებარე შენობებზე ზემოქმედებასა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული სისტემს საქსპერტო შეფასების შესახებ.

ჩემს მიერ, თბილისში მომზადებულია 8 ერთეული მე-4 კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი და მრავალფუნქციური შენობების, ასევე სახელმწიფო უწყების შენობებისთვის პროექტის კონსტრუქციული ნაწილები.